№ 55 ხუთშაბათი, 11 მარტი 1910 წ. № 55

# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, ავტორების გარდა ... 10 ...

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.
ცალკე ნომერი ყველგან ... შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა
## ანასტასია ალექსის ასული გოგოხიასი,
რასაც უზომო მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი **ბესარიონ დავითის ძე გოგოხია** ობლებით. პანაშვიდი დღეს საღამოს 7 ს. გამოსვენება პარასკევს, 12 მარტს, დილის 9 საათზე. წირვა ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში; დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. ბინა: ვერა, არაგვის ქუჩა, № 8, სახლი ეგაძისა. (2—175—1)

**ანნა, ივანე და კოლა ანდრიას ასული და ძენი ყიფშიძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას თავიანთ ძვირფას და მოამაგე დეიდის
## ანასტასია (ტასიკო) ალექსის ასულის გოგოხიასას.
პანაშვიდი გადახდილი იქნება დღეს, საღამოს 7 საათზე, ხოლო გამოსვენება 12 მარტს, დილის 9 საათზე, ქვაშვეთის ეკკლესიაში, დაკრძალვა—კუკიის სასაფლაოზე. ბინა: არაგვის ქუჩა, № 8, ეგაძის სახლი. (1—177—1)

## საკოლონიო ამხანაგობა „ოზოროტი“
(ამიერ-კავკ. რკინის გზების მოსამსახურეთა მომხმარებელ საზოგადოების საქონლის ჩამბარებელი)

**ამით აუწყებს** მომხმარებელ საზოგადოების წევრთ და კერძო მუშტარს, რომ 11 მარტიდან გაიხსნა **შეკერილ ტანისამოსის განყოფილება. ყოველნაირი ტანისამოსი მამაკაცთა პორტიკულიარული, ფორმისა და მოწაფეთათვის, ქალთა ტანისამოსი, პარიზის უკანასკნელ მოდაზე დამზადებული. ფასები შეუვაჭრებლად,** კონკურენციის გარეშე.

მაღაზია მოთავსებულია გოლოვინის პროსპექტზე, № 16, სახაზინო თეატრის პირდაპირ. (5—გაჟ.—1)

## პ. ს. დოროფეევი
**სოლოლაკის ქ., ს. გურგენოვისა, ტელეფ. № 583.**

ყოველ წლიურად მიღებულ წესით ზამთრის სეზონის გათავების შემდეგ ჩვეულებრივი სადიდმარხვო
## დიდი იაფობა
სამი დღის განმავლობაში:
### ემ ები 11, 12 და 13 მარტს
ყველა ცხრა სპეციალურ განყოფილებაში **დიდ იაფობისთვის მიღებულია საქონელი 300,000 მანეთისა.**
## საოცრად იაფი-ფასები
— ზოგიერთი საქონელი, მოდიდან გამოსული და —
— გამოფენილი ფანჯრების ვიტრინებში —
— იყიდება 75% ის დაკლებით. —
(1—ხალ.—1)

## სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი ქუთაისში
ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის **ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა**, მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (45—151—25)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**მ. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
**ა. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.
**ზ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—6.—291)

## ტფილისის კერძო სამკურნალო
30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვერტცელის“ სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.- დღე; გარდა კვირა. 11-12 საა. 1—2 ს.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. ... ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.
**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.
**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., დღე, 9—11 ს.
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
**მუსხელიშვილი ვ ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარასკ. 2 2-ნახ. ს.
**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე
**პაპოვი ზ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.
**ხობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—6.—128)

გირჩევთ მოსწიოთ შემდეგი პაპიროსები
ზეფირი 25 ც. 15 კ. და 10 ც. 6 კ.
ვოსხოდი 10 ცალი 5 კაპ.
პაპიროსები ახალ თამბაქოს ფაბრიკის სავ. სახ.
## „ძმები სეილანოვები“
(15—ტ.—14)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—78

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—385)

## დ. ქარელში
**მედიცინის ფერშალი ლ. პ. ჯინორიძე** იღებს და ნახულობს ავადმყოფებს, უკეთებს ზოგიერთ ჭრილობებს (ოპერაციას), კანში შესასხამ წამლებს, მასაჟს, უცრის ყვავილს და ღებულობს ყოველ დღე საფერშლო საქმეს. (15—155—14)

**ექიმი ვასილ წერეთელი** ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—136)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—119)

**ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი** ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტროტერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—გვ.—22)

**ექიმი** კბილისა **რომანიშვილი-დგებუაძისა** იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში. ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—6.—35

**ექიმი დ. ახვლედიანი** იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

**ექიმი ზ. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაზბეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—46)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** სპეციალისტი ქ. ქუთაისში **გ. დ. ბეთანოვი** მიიღებს სიფილისით, ვენერიულის და კანის სენით ავადმყოფებს. აფთიაქის და კლუბის ქ. ქ. კუთხეში N 24/2 ყოველდღე დილის 9—12 ს. და საღამოს 5—8 ს. (25—ფ.—10)

## სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.
**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**
ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.
**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.
**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.
**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.
**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.
**ბოგოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.
**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.
**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.
**ნოვიცკი**—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.
**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ საათ.
**კალამქაროვი**—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.
**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.
**ასპიროვი**—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.
კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის წრატით. (100—6.—20)

დაიბეჭდა და იყიდება ქართულ ენაზე **ჰერგარტ ჰაუპტმანის** ცნობილი დრამა
## ● ფეიქრები ●
თარ. **ივ. ახალშენიშვილის** მიერ წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და პ. კოგანის კრიტიკული განხილვა. ეს დრამა ბერლინის თეატრებში სამი წლის განმავლობაში ორასჯერ დასდგეს. დრამის შინაარსი აღებულია გასულ საუკუნის ორმოციან წლების გერმანიის მუშათა ცხოვრებიდან.
**წიგნი ღირს 50 კაპ.**
მთავარი საწყობი წიგნისა არის მაღაზია „ალიონი“-ს გამგე ვ. გადილიასთან.
პროვინციაში მსურველთ წიგნი გაეგზავნება ჩვენი ხარჯით. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Кирочная ул. N 9. Василію Гадилія.

**ექიმი** ქუთაისში **ფ. ი. გაევსკი** იღებს ავადმყოფებს **შინაგან სნეულებათა და ბებიაობისას** დილით 11—1 საათზე, საღ., 5—7 საათზე. კაზაკოვის ქ., N 13. ღარიბებს უფასოდ. (25—გვ.—3)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ორშაბათს, 15 მარტს, საღამოს 8 საათზე, სამუსიკო სასწავლებლის დარბაზში
**ა. ნ. ლისოვსკი** წაიკითხავს ლექციას **ბეთჰოვენზე**
ბილეთების ფასი 2 მანეთიდან 30 კაპეიკამდე. (3—6.—1)

**ქ. თელავში**
პირველ ენკენისთვიდან ამ 1910 წლისა
## გაიხსნება ვაჟთა სრულ-უფლებიანი პროგიმნაზია
ვისაცა ჰსურს ყმაწვილების მოყვანა ამ გიმნაზიაში, იმათ უნდა თხოვნები ეხლავე შემოიტანონ გიმნაზიის მომწყობ კომიტეტის თავმჯდომარის სახელზე. სწავლის ფასი დანიშნულია 80 მანეთი, რომელიც უნდა შემოტანილ იქმნას ორჯერად ნახევარ-ნახევარ წლისა. თხოვნებისათვის ბლანკები დასტამბულია. ცალკე იქმნება გამოცხადებული, როდისთვის დაინიშნება ბავშვების მისაღები გამოცდა. პროგიმნაზიასთან იქმნება მოსამზადებელი კლასები და საანბანო განყოფილებაც. (3—6.—3)

## ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში
იღებენ შესაკერად კაბებს ქალებისას და ბავშვებისას, ძალიან იაფად, აგრეთვე საცვლებს და სხვა და სხვა ხელ-საქმეს „გლადით“ და „მეტკებს“.
ადრესი: ვერა, გაბაშით ქ., № 3. (10—5)

## დღიური
### დღევანდელი კულტურული სამუშაო.

ერთი კარგი ნაცნობი, სოფლის მასწავლებელი, ანუ უფრო სწორედ რომ ვსთქვა, ახლა ხანს პირველად გამწესებული სკოლაში, წერილსა მწერს და მეკითხება, თუ როგორ მოაწყოს თავისი მუშაობა. წერილში ყველაზე უწინარეს გატაცებულის ენით ამიწერს, თუ როგორ ძლიერ მოწადინებულია ყოველგვარს სიკეთეს ქვეყნისთვის, როგორ ღრმადა სწამს თავისი ძალა, როგორ დაიმედებულია, რომ ბოროტი მალე დამარცხდება და გამარჯვებული კვლავ კეთილი დარჩება. შემდეგ მოკლედ მომითხრობს, თუ რამდენი ცდა დასჭირდა, სანამ სამშობლოში იშოვნიდა სამსახურს—დირექცია დიდს ადგილს ჰპირდებოდა, თუ უცხო მხარეს წავიდოდა, მაგრამ არ დასთანხმდა და თავის კუთხის მწარე ლუკმა ამჯობინა უცხოთა შორის ტკბილად ცხოვრებას. წერილის უმთავრეს საგანს შეადგენს ჩემი ნაცნობ მასწავლებლის მომავალ მოღვაწეობის გეგმის განმარტება.

მე მასწავლებელი ვარ,—მწერს ნაცნობი:—და ეს წოდება მძიმე მოვალეობას მაკისრებს. მასწავლებელი ადამიანის აღმზრდელია, არა, ბავშვის აღმზრდელი—ბავშვსა და ადამიანს შორის დიდი განსხვავებაა: ბავშვი განსპეტაკებული ადამიანია, დღევანდელი ადამიანი კიდევ დამახინჯებული ბავშვია; მაშასადამე, როგორც ბავშვის აღმზრდელს უდიდესი საქმე მაქვს დავალებული—მომზადება მომავალ თაობისა. კარგად ვხედავ, რომ ჩემი მოწაფეების ბედი სანახევროდ მაინც, თუ მეტად არა, ჩემ ხელით იქნება... ამ მოვალეობაზე არ მინდა გავაგრძელო სიტყვა, ეს ახლა საანბანო ჭეშმარიტებაა.

მაგრამ ჩემი მუშაობა მარტო ამით არ უნდა განისაზღვროს. სოფელს მრავალი საჭიროება აქვს და ყველას პასუხი უნდა გასცეს მასწავლებელმა. წარმოდგენები და სახალხო საკითხავები, სამკითხველოები, ბანკები, კოოპერატიული ამხანაგობანი, სამეურნეო მაგალითები, საუკეთესო იარაღის მიწოდება, ბრძოლა მავნე ცრუმორწმუნოების წინაამდეგ და სხვა. ამას გარდა, ცხოვრებამ ერთი ახალი საქმე წამოგვიყენა წინ—ტერიტორიის შენარჩუნება, რომელსაც ჩვენი გაზეთები ასე დიდს ყურადღებას აქცევენ. ერთი სიტყვით, უთვალავი კულტურული სამუშაოა, ყველას უნდა მიხედოს სოფლის მასწავლებელმა, სოფლის არც ერთი მოთხოვნილება არ უნდა დასტოვოს უპასუხოდ, ყველაფრისთვის უნდა იზრუნოს. იგი უნდა იყოს დედაბოძი, რომლის გარშემო შემოიკრიბება მთელი სოფელი თავის ჭირ-ვარამით.

ამგვარია ჩემი გეგმა. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ სხვა-ნაირად შეუძლებელია მუშაობა, მაგრამ მაინც გთხოვ, როგორც მოკეთეს და ჩემზე უფრო გამოცდილს, გულდასმით გადაიკითხო ჩემი წერილი და მაცნობო შენი აზრი; თუ ჩემს გეგმას მოიწონებდი, ეს მეტად გამამხნევებს და გაორკეცებულის მონდომებით შევუდგები მუშაობას; თუ არ დამიდასტურებ, მაშინ... მაგრამ არ შემიძლია ვიფიქრო, რომ არ დამეთანხმები და არ მოიწონებ ჩემს გეგმას.

ასე მწერს ჩემი ნაცნობი მასწავლებელი. აქ ამოვსწერე შინაარსი მისი წერილისა იმიტომ, რომ იგი კერძო და ერთი არაა. მასწავლებელი თუ სხვა ინტელიგენტი, ნახევრად ინტელიგენტი, შეგნებული ადამიანი, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლის მოსწავლე ბევრია გაფანტული სოფლად, ბევრს სწყურია მუშაობა და დაეძებს გეგმას, რომელიც ისევ გაძნელდა და დაბნელდა მას შემდეგ, როცა ყველასათვის ასე ნათელი და მარტივი იყო. ის დრო დაგვიდგა, როცა ყველაფერი თითქმის ხელ-ახლა უნდა ავაშენოთ. პოლიტიკა მიიჩრდილა და წინ წამოდგა მარტო კულტურული მუშაობა. ძალები დაიქსაქსა, რწმენა დაუძლურდა, ყველანი ახალს ეძებენ და თუ ახალს არა, ძველის ახლად დასაბუთებას. გაძლიერებულმა პოლიტიკურმა მუშაობამ, განსაკუთრებით დამარცხების გამო, გამოიწვია ერთნაირი სულიერი დაქანცულობა და მარტო გარეგანი პირობების ბრალი არ არის, რომ პოლიტიკის ადგილი დაიჭირა სწავლა-განათლების გავრცელების წყურვილმა, აგრე წოდებულმა კულტურულმა მუშაობამ.

ხოლო ეს სრულებით არა ნიშნავს იმას, რომ რაც იყო, სამუდამოდ დაიმარხა და უნდა წაიშალოს. თუ წინად განმანათლებელს მუშაობას შესაფერს ყურადღებას არ ვაქცევდით, ეს შეცდომა იყო, რომლის გასწორება დაწინაურებაა. მაგრამ მეორეს მხრით სრული გაბატონება მარტო კულტურულ მუშაობისა და დავიწყება პოლიტიკურ განვითარებისა—კიდევ უფრო მეტი შეცდომა იქნებოდა, მიუტევებელი დანაშაულობა. მარტო სწავლა და ცოდნა არა ჰქმნის მოქალაქეებსა და მამულიშვილებს; პოლიტიკური ცხოვრება, პოლიტიკური პირობებია აღმზრდელი ადამიანისა. უდიდესი ადამიანი ის კი არ არის, ვინც მეტი იცის, არამედ ის, რომელსაც მეტი შეგნება აქვს ადამიანურ ღირსებისა, მეტი სიმტკიცე ამ ღირსების დასაცავად. სამასი სპარტელი უბრალო მხედარი, სამშობლოსათვის თავგანწირული, უფრო ძვირფასია კაცობრიობისათვის, ვიდრე სამასი უნივერსიტეტში კურს-დამთავრებული, მუხლებზე დაცემული ბატონების წინაშე! სული ძლიერი და კეთილ-შობილი,—აი, ვინ ამკობს ქვეყანას, მისი აღმზრდელი კი თავისუფლების სიყვარულია.

სწავლა, ცოდნა, გონების განვითარება—მშვენიერი იარაღია, მაგრამ ვინ მოიხმარს ამ იარაღს, როცა ირგვლივ პოლიტიკური მონობაა, სიტყვა მართალი—დანაშაულობაა, მეცნიერული აზრი—ღალატი, წმინდა სინიდისი—ორგულობა.

არა! მივანიჭოთ კეისარს კეისრისა და

უფალს—უფლისა. კულტურული მუშაობა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, როგორ დამღუპველია პოლიტიკურ-მოქალაქობრივი განუვითარებლობა...

ჩემს ნაცნობს მასწავლებელს, როგორც ეს გვჩვევია ქართველებს, ყველაფრის გაკეთება სწადია. გარდა თავის პირდაპირ მოვალეობისა, იგი ჩამოსთვლის მრავალს კულტურულს სამუშაოს და თუ ყველაფერს ხელი მოჰკიდა, ვერც ერთს ვერ გასწვდება და მისი სურვილები განუხორციელებელი დარჩება. გაცილებით უმჯობესი იქნებოდა, რომ უფრო შეევიწროვებინა თავის მუშაობის ფარგალი, მაშინ მეტს ნაყოფს გამოიღებდა. მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებო ნაცნობს წერილში ისაა, რომ მის გეგმაში მცირე ადგილი დაუკავებია ტერიტორიის საკითხს. მიწა-წყლის შენარჩუნებას სამართლიანად სთვლის, კულტურულ მუშაობად: ტერიტორია მარტო ქონებრივი საშუალება არაა, მისა მნიშვნელობა კიდევ უფრო მეტად იდეური, კულტურულია. ჩვენი მასწავლებლის შეცდომა ისაა მხოლოდ, რომ არ წარმოუდგენია ტერიტორიის საკითხი მთელი თავის სიდიადით და ათავსებს მას სხვა საგნებს შორის.

ეს დიდი გაუგებრობაა. ამ ჟამად უდიდესი საქმე ჩვენთვის ტერიტორიის შერჩენაა; მთელი ჩვენი მუშაობა ამას უნდა მოვანდომოთ, მთელი ჩვენი კულტურა ამაზეა დამოკიდებული. სხვა ყოველივე საკითხი მოიცდის, ხოლო თუ ტერიტორია ხელიდან გამოგვეცალა, შეუძლებელი იქნება შემდეგ მისი უკან დაბრუნება და საქმის გამოსწორება. დღეს ცხოვრებამ დაგვიყენა წინ მიწა-წყლის დაცვა და ამის ზრუნვამ უნდა დაჩრდილოს სხვა მუშაობა.

ამას გარდა: ტერიტორიის საკითხი თუ მაღალი კულტურული საკითხია, მას დიდი ეროვნული პოლიტიკური მნიშვნელობაცა აქვს. ეს ისეთი საქმეა, რომლის გარშემო შეიძლება გაიშალოს პოლიტიკური მუშაობა. მის შემწეობით ჩვენ შეგვიძლია შევიტანოთ ხალხში ეროვნული თვითშეგნება. ტერიტორია ეროვნების უმთავრესი საფუძველია, ერი ჰქრება უტერიტორიოდ და მოუხერხებელია ილაპარაკო ტერიტორიის საჭიროებაზე და არ შეეხო ერს, ეროვნულს არსებობას, ეროვნულს ღირსებას. ახლანდელს პირობებში ეს გარემოება მეტის-მეტად ძვირფასია და ჩვენ აუცილებლად სავსებით უნდა ვისარგებლოთ ტერიტორიით ხალხის პოლიტიკურ-ეროვნულ აღზრდისათვის. ამაზე უნდა გადაიშალოს მთელი ტრაგედია, საშინელი ტრაგედია ჩვენი დღევანდელ ცხოვრებისა.

ამიტომ მიუღებელია ჩემი ნაცნობ მასწავლებლის გეგმა. მას ახსოვს მარტო კულტურული მუშაობა და ამაშიაც რაც უპირველესია, რასაც უნდა მივაპყრათ მთელი ჩვენი გონება, ამისთვის მიუნიჭებია არა შესაფერი ადგილი.

**სიტყვა.**

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპ. სააგენტ.)

**გზათა სამინისტროს ბიუჯეტი.**

9 მარტის სხდომაზე სათათბირომ დაიწყო განხილვა რკინის გზათა სამმართველოს ხარჯთ-აღრიცხვისა. გადადებული ყოფილა 532,624,232 მანეთი. საბიუჯეტო კომისიას ეს თანხა 14 მილიონით შეუმცირებია.

**მომხსენებელმა გერცენვიცმა** აღნიშნა ის გარემოება, რომ სათათბიროს ფაქტიურად უფლება არა აქვს ხელი ახლოს მრავალ მუხლს ამ მოხსენებისას. აღნიშნა ისიც, რომ რკინის გზები ბევრ ზარალს იძლევიან, რომ მაღალი მოხელენი ბევრ ფულსა ხარჯავენ, ხაზინის ხარჯით აქვთ მდიდრულად მოწყობილი ბინები, ორანჟერეიები, მუქთად სარგებლობენ რკინის გზებით, რომ მუქთა ბილეთების საქმე არ არის მოწესრიგებული, რომ მრავალი ბოროტმოქმედება ხდება რკინის გზებზე და სხვა. ბოროტმოქმედებები ხდება უფრო საქონლის შეძენის საქმეში. იპარავენ ფულს და ამბობენ, საქონელი გაძვირდაო.

**დზიუბინსკიმ**, ტრუდოვიკმა, უმთავრესი ყურადღება მიაქცია რკინის გზის დაბალ-მოხელეთა და მუშათა მდგომარეობას. სამინისტრო ცოტა ყურადღებას აქცევს ამათ ცხოვრების გაუმჯობესებას. მთელი რუსეთი და სათათბირო სცდილობენ, სწავლა-განათლება გაავრცელონ, გზათა სამინისტრომ-კი 1909 წლის 13 იანვრის წესებით შემოიღო სწავლის ფასი რკინის გზის პირველ-დაწყებით სკოლებში. სწავლის ფასს სამინისტრო ჯამაგირიდან უკლებს მოსამსახურეებს. ამის გამო მოსწავლენი უკვე გაჰყავთ რკინის გზის სკოლებიდან. ციმბირის გზების 17 სკოლიდან 330 ბავშვი გავიდა. დასასრულ, დზიუბინსკიმ სთქვა, რაც შეიძლება მალე უნდა გაუმჯობესდეს რკინის გზის დაბალ მოსამსახურეთა მდგომარეობა და უზრუნველ ყოფილ იქნეს მათი სიბერეო.

**გზათა მინისტრმა** პასუხი გასცა მომხსენებელს. რკინის გზებს ზარალი აქვთო. მართალია, მაგრამ რკინის გზები მარტო შემოსავლისათვის ხომ არ არის გაყვანილი. დასავლეთ ევროპაშიაც არ იძლევა რკინის გზა მოგებას. ამას გარდა, რკინის გზას გადაყავს ჯარი და გადასახლებულნი, გადააქვს ფოსტა. ბინები რკინის გზებთან საჭიროა ზოგიერთ მოსამსახურეთათვის. ზოგიერთი დარგი მუშაობისა იმნაირია, რომ საჭიროა მოსამსახურე იქვე იყოს, ზოგი ღამის 12 საათზე ათავებს და ვერ წავა, რადგან შორსა სდგას. შემდეგ მინისტრმა ჩამოსთვალა, რა გააკეთა სამინისტრომ განვლილ წელს, სთქვა ისიც, რომ პირველ ივლისიდან დაკლებული იქნება 1908 წელს სამგზავრო ტარიფი, რომელმაც ცუდი ნაყოფი მოიტანაო. დასასრულ, მინისტრმა სთქვა, სამინისტრო თანახმაა შემცირდეს ხარჯთ-აღრიცხვა, რადგან სათათბიროს სურვილი აქვს მიიღოს უდეფიციტო ბიუჯეტიო.

**კუზნეცოვმაც**, ს.-დემოკრატმა, უმთავრესი ყურადღება მიაქცია რკინის გზის დაბალ მოსამსახურეთა და მუშების მდგომარეობას. ორატორმა მიღებულ წერილებით და თხოვნებით დაასურათა, რა გაჭირვებულ ყოფაშია რკინის გზის პროლეტარიატი. სამინისტრო გაუმჯობესების მაგიერ, უფრო აქვეითებს მათ მდგომარეობას. ორატორის აზრით, საქმე არ გაუმჯობესდება იმ დრომდე, სანამ მუშები არ შეერთდებიან და ძალით არ მოიპოვებენ უფლებებს.

**ნეკრასოვმა**, კადეტმა, აღნიშნა, რომ გაუმჯობესება რკინის გზების საქმეს არაფერი დაეტყო. ბოროტმოქმედებაც ხშირია, თუმცა ბოროტმოქმედება მოსამსახურეთა შორის შედეგია ამ მოსამსახურეთა უკიდურესს მდგომარეობისა. სასურველია, რომ მინისტრი ნაკლებ ყურადღებას აქცევდეს ისეთ რამეებს, როგორიც არის წესები იმ მოსამსახურეთა დათხოვნის შესახებ, რომელნიც კეთილ-საიმედოდ არ იქმნებიან ცნობილნი. საჭიროა აგრეთვე მინისტრმა უარ-ჰყოს ხმა, ვითომ რკინის გზებზე გაეცეს ბრძანება, პოლონელებს ნუ წასწევთ სამსახურშიო. ჩვენ სენატორების რევიზიების თაყვანის-მცემელნი არა ვართ, რადგან ისინი ბოროტებას ვერ აღმოფხვრიან, მაგრამ ზოგჯერ დამოუკიდებელი კაცი, შესაფერ უფლებებით აღჭურვილი, უფრო მეტს გააკეთებს, ვიდრე მინისტრის რევიზია, რომელიც მარტო მიწერ-მოწერაში გამოიხატება.

სათათბირომ მიიღო რამდენიმე მუხლი ხარჯთ-აღრიცხვისა.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 მარტი.

**საზღვარ-გარედ.**

**ვენეცია.** ტარნოვსკაიას საქმე. ჩვენება ჩამოართვეს რამდენიმე მოწამეს. ერთმა მოწამემ სთქვა, ნაუმოვი ვენეციაში ხშირად დასეირნობდა კომაროვსკის სახლის ახლო. ერთ დღეს კომაროვსკის სახლიდან რევოლვერის ხმა მომესმა, რის შემდეგ კომაროვსკის სახლიდან გამოვიდა ნაუმოვი. ნაუმოვი ტიროდა, იგი მენავის მხარზე იყო დაყრდნობილიო. იმ სასტუმროების ორი მოსამსახურის სიტყვით, რომელშიაც პრილუკოვი და ნაუმოვი ჩამოხტნენ, ნაუმოვი აღელვებული იყო, ხშირად შამპანურს სვამდა. მენავემ სთქვა, ნაუმოვმა მთხოვა სადგურზე წამეყვანა, აღელვებული იყო, ყვიროდა და რამდენიმე ას-ფრანკიანი ბილეთი მომცაო. რუსეთის კონსულმა სუნდი საბახმა უამბო მოსამართლეებს, თუ როგორ მივიდა მასთან ტარნოვსკაია და სთხოვა, რანაირად შეიძლება მოვახერხოთ, რომ კომაროვსკიმ ჩემზე ჯვარი დაიწეროს, რადგან ჩემი ქმარი ცოცხალია. მე მინდა, რომ ქმარს არ გავეყარო, ყველაფერი ისე მოვახერხოო. კონსულს აუხსნია ტარნოვსკაიასთვის, რომ ასეთი ქორწინება ყოვლად შეუძლებელია. ვენის პოლიციის უფროსმა შტუკკერტმა სთქვა: როდესაც კომაროვსკის მოკვლის ამბავი გავიგეთ, ეჭვი დამებადა, რომ მკვლელობა უნდა ჩაედინათ იმ პირთ, რომელნიც ვენაში სცხოვრობდნენ და კომაროვსკისთან მისვლა-მოსვლა ჰქონდათ. ამაში საბოლოოდ დავრწმუნდი, როდესაც გავიგე კომაროვსკას დაზღვევა და ის, რომ ტარნოვსკაიას ფული მაშინაც უნდა გამოეტანა, კომაროვსკი ძალითაც რომ ვისმე მოეკლაო. შტუკკერტმა მოსამართლეებს უამბო, თუ რა პირობებში მოხდა პრილუკოვის და ტარნოვსკაიას მკვლელობა. შტუკკერტის სიტყვით პრილუკოვი ჩვენების ჩამორთმევის დროს ყველაფერს ტარნოვსკაიას აბრალებდა, შემდეგ კი ცოტათი შეამცირა თავისი ბრალდება. შტუკკერტი გერმანულად ლაპარაკობს. თარჯიმანმა გადათარგმნის დროს შტუკკერტის სიტყვას თავისი დასკვნა გაუკეთა. ტარნოვსკაიამ ამის გამო პროტესტი განაცხადა. შტუკკერტის სიტყვით მას ნაუმოვი ტარნოვსკაიას და პრილუკოვის ბრმა იარაღად ეჩვენებოდა. შტუკკერტი ვრცლად ასაბუთებს თავის დასკვნას. ნაუმოვის დამცველმა თარჯიმანის გამოცვლა მოითხოვა, რაზედაც თავმჯდომარემ თანხმობა განაცხადა.

**ლონდონი.** პრემიერ-მინისტრმა ასკვიტმა დეპუტატთა პალატაში შეიტანა რეზოლიუციები. ამ რეზოლიუციებით ლორდთა პალატას უნდა ჩამოერთვას უფლება უარჰყოს, ან შეასწოროს საფინანსო კანონ-პროექტები. ამას გარდა შეზღუდული იქნება ლორდთა პალატის უფლებები სხვა კანონ-პროექტების განხილვის დროსაც. ყოველი კანონ-პროექტი კანონის ძალას იღებს ლორდთა პალატის დაუმტკიცებლადაც, თუ დეპუტატთა პალატა სამი სესსიის განმავლობაში ზედი-ზედ მიიღებს კანონ-პროექტს და ლორდთა პალატას ამ კანონ-პროექტს სესსიის დამთავრებამდე ერთი თვის წინედ გადასცემს. რა თქმა უნდა კანონ-პროექტი მეფემ უნდა დაამტკიცოს. ამას გარდა, კანონ-პროექტის დეპუტატთა პალატაში შეტანიდან და მესამედ მიღებამდე ორმა წელიწადმა უნდა გასტანოს. რეზოლიუციებით პარლამენტის სესსია ხუთ წელიწადს გრძელდება.

**ათინა.** დეპუტატთა პალატა. თესალიის ამბების განხილვის დროს მინისტრ-პრეზიდენტმა დრაგუმისმა დაიცვა მთავრობის მიერ მიღებული ზომები, რომლებიც თესალიაში არეულობის მოსასპობად მიიღეს. რალლიმ და თეოთიკისმა მოიწონეს მთავრობის მოქმედება. დრაგუმისმა განაცხადა, მთავრობა სასტიკ ზომებს მიიღებს არეულობის მეთაურების წინააღმდეგ და არავის არ დაერიდებაო.

ლარისიდან იუწყებიან: თესალიაში მიტინგებმა მშვიდობიანად ჩაიარეს. მატარებლის მიმოსვლა წესიერია.

რალლიმ დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეს სთხოვა, ათინაში გაიწვიეთ დეპუტატი კარაისკაკისა, რომელიც, როგორც სჩანს, აგიტატორების მეთაური და სულის ჩამდგმელიაო.

პარტიის ლიდერები შესთანხმდნენ ჯარის მავნე ელემენტების გაწმენდის საკითხში. დაადგინეს, ამოირჩიონ კომიტეტი და კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნონ გენერალი სმოლენსკი.

**ლონდონი.** ლორდთა პალატამ მიიღო როზბერის რეზოლიუცია. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ ძლიერი მეორე პალატა კონსტიტუციის საჭირო ნაწილს წარმოადგენს, იგი სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის აუცილებელი პირობაა. ამ მიზნისთვის საჭიროა ლორდთა პალატის რეფორმა—ზედა პალატის ხელ-ახლად შედგენა. მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რეზოლიუციის წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ თავის დღეში არ დავეთანხმები ისეთ ზომებს, რომლებიც ლორდთა პალატას გააძლიერებენო.

**ჩიკაგო.** ოფიციალურის ცნობით გრიმოუტენში მატარებლის ლიანდაგიდან გადავარდნის დროს მოკვდარა 45, დაშავებულა 31 კაცი.

**ბუდაპეშტი.** ერცჰერცოგმა იოსებმა, ბუდაპეშტის გოფბურგში იმპერატორის სახელით გამოაცხადა პარლამენტის დათხოვნა: კოშუტის და იუსტის პარტიები გოფბურგში არ გამოცხადნენ. სამართალში მისცეს ის დეპუტატები, რომლებმაც 8 მარტს მინისტრებს სცემეს. მინისტრ-პრეზიდენტი და მიწათ-მოქმედების მინისტრის მორჩენას ოცი დღე მოუნდება. ორთავე მინისტრები დღეს გოფბურგში იყვნენ. იმპერატორმა, ერცჰერცოგმა იოსებმა, გრაფმა ერენტალმა და ბინერტმა მინისტრებს თანაგრძნობა გამოუცხადეს. ბუდაპეშტის და ვენის პრესსა ჰკიცხავს იმ დეპუტატებს, რომლებმაც მინისტრებს სცემეს. იუსტის პარტიის ორგანოები ამართლებენ დეპუტატებს, დეპუტატების გაცხარება ადვილად არის ასახსნელი, რადგან მინისტრ-პრეზიდენტმა კანონები თავისებურად განმარტაო.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატამ მიიღო კანონ-პროექტი, რომლითაც საკონგრეგაციო მამულების ლიკვიდაციის უფლებანი სახელმწიფო მამულების მთავარ დირექტორს უნდა გადაეცეს.

**სალონიკი.** ბერანში დიდი მიტინგი გაიმართა. მიტინგს დაესწრო 15,000 კაცი. მოითხოვეს ლათინური ან-ბანი. საჯაროდ დასწვეს არაბული წიგნი. საერო განათლების მინისტრის განკარგულებით საექსარხოსოს ინსპექტორებს აეკრძალა

## ორი სიმღერა

(თარგმანი)

I.

**დაბრუნდი!**

ოჰ, რომ დაბრუნდე, კვლავ მოფრინდე, ჩემო მნათობო,
იქ, სად ორივეს სიხარული გველიმებოდა;
ხშირ ბუჩქებიდან შენ ჩურჩული შემოგესმოდა,
ავადმყოფ გულის მწარე კვნესა ის იქმნებოდა.
ოჰ, მაშინ გვედრებ ემბორო ყვავილის ფურცელს,
მით მოიგონებ, იმედია, შენს ერთგულს მკობელს!..
მოდი, მოფრინდი,
გემუდარები!
ჰნახე, ამევსო
ცრემლით თვალები!

—

ოჰ, ნეტა ნატვრა, ჩემო კარგო, აღსრულდებოდეს,
და ძველებურად ჩემი თავი შეგყვარებოდეს!..
კვლავ აღდგომილი მე არავის შევუკრთებოდი
და სიყვარულის ფრთებით შენთან მოვფრინდებოდი!..
შენი თვალთაგან ხედვის სხივნი გამაცოცხლებდნენ,
ნეტარნი წამნი ვნებით აღვსილთ მოგვალხინებდნენ.
ჰოი, დაბრუნდი, იმედის სხივო!
ვიაჯ, ისმინო ჩემი ვედრება!
დაბრუნდი ჩემთან, კვალად მოფრინდი...
ტრფობისა ალით გული მენთება!

II.

**მითხარ!**

ჰოი, ნუ მტანჯავ მწარე ეჭვებით,
ხმა გამაგონე, ნუ გეკრძალება!
დაე, აღმიჩნდეს იგი ნუგეშად,
იმედით ბნელი გამინათლდება!
მითხარ, ვით ოდეს შვებისა ჟამსა,
ისე დღეს გიყვარს შენი ერთგული;
მითხარ, აროდეს არ დაგივიწყებ,
არცა დასჭკნება გულს სიყვარული!
ოჰ მითხარ, მითხარ,
რომ კვლავ გიყვარვარ!..
თუნდ ერთი სიტყვა გამაგებინე!..
მითხარ.... ოჰ მითხარ, მომალხინე!..

**ა. შანშიაშვილი.**

## შთაბეჭდილებანი

(მოსკოვის სამხატვრო თეატრი)

„სამხატვრო თეატრი!“ როდესაც გესმის ეს სახელი, ასე გგონია თვით შენობის გარეგნული შეხედულება, ხუროთ-მოძღვრებაც კი სხვანაირი, არა ჩვეულებრივი უნდა იყოსო. მაგრამ არა! სწორედ გარეგნობა არ ახდენს მნახველზე თეატრის შთაბეჭდილებას. ეს არის უბრალო, ჩვეულებრივი ორ სართულიანი სახლი. იგი სხვა სახლებისაგან არაფრით არ განირჩევა. ზედ არ არის გამოჭიმული მუზათა ქანდაკებანი, არც „დრამა-კომედია“ და არც შექსპირის სახე. მხოლოდ კარების სახელურები მიიქცევს თქვენს ყურადღებას და ერთ მხარეზე შესასვლელთან დეკადენტური ფარდული. თუ დააკვირდები, ამით მიხვდები, რომ ამ სახლში რაღაც განსხვავებული სამეფო უნდა იყოსო. შედიხარ შიგ და ყველაფერი სადათ და უბრალოთ მორთული გხვდება; ფოიეში გრძელი, შავი ხის სკამები, კედლებზე უბრალო ჩარჩოში ჩასმული გამოჩენილ მოღვაწეთა სურათები და ზოგიერთ პიესის სცენები და ტიპები. მაღლა ფოიეში ათი წლის იუბილეის მილოცვები, საჩუქრები და საზღვარ-გარეთელ პრესის რეცენზიები. პარტერში სულ არაფერი—გარდა შავი სკამებისა. არც შიშველი ქალები, არც ქნარი და არც ოქროთი მოვარაყებული მხატვრობანი. შენს თვალს არაფერი იპყრობს. სამაგიეროდ გონება, აზრი, მთლათ შენი არსება აქ, თეატრში, ხელოვნების ტაძარშია. ეს სადა და უბრალო სილამაზე გავიწყებს ყოველდღიურ წვრილ მონობას, გაშორებს ჩვეულებრივ ცხოვრებას და გადაჰყავხარ სულ სხვა ქვეყანაში. საკვირველია, რომ შენს გარშემო ადამიანებსაც-კი ერთნაირის გრძნობით გამსჭვალულებსა ჰხედავ თითქო თვითეული მათგანი მოვიდა წმიდათა წმიდაში და ან უნდა ეზიაროს, ან შეასრულოს მღვდელთ მოქმედება. ყველა მოკრძალებითა და ჩურჩულით ლაპარაკობს, დახველებასაც-კი ერიდება.

გაისმის პირველი ზარი და ხალხი მიდის თავის ადგილზე. მეორე ზარის დროს ხალხი უკვე მზათ არის და სულ განაბული ელის ფარდის გახსნას. მაგრამ აი, იკლო სინათლემ და თეატრში თითქო ელექტრონმა ყველას ყელში გაუარა—გაისმის ერთხმად ხველება. ეს დაწყებამდის ემზადებიან, რომ მოქმედების დროს არ დაახველონ და არ დაარღვიონ სიჩუმე.

გაიხსნება ფარდა და თქვენს თვალებს წარმოუდგება ოჯახი, ნამდვილი ცხოვრება თავის ყოველგვარ წვრილმანებით. მსახიობნი ლაპარაკობენ ჩვეულებრივად, ისე, როგორც თვითეული ჩვენგანი ცხოვრებაში, არ გესმის არც პათეტიური სიტყვები, ვერა ჰხედავ ტრაგიკულად ხელების ქნევას, დრამატიულ პოზებს, არ გესმის ოხვრა და ქშენა. ჰხედავ შენებრ ადამიანებს, გესმის იმათი გულიანი სიცილი და შენც იცინი, თვალწინ გიდგას განხორციელებული ტანჯვა — წრფელი, უტყუარი. გულს ლახვარივით გესობა მათი ოხვრა მართალი და არა ხელოვნური და მათთან ერთად შენც იტანჯები, ოხრავ და კვნესი. ფარდის გახსნისათანავე სცენიდან გამოიჭრება რაღაც ელექტრონის ძალა და შენს არსებაში იმსჭვალება. შენსა და მსახიობთა შორის ძაფია გაბმული და, როგორც ტყვე, შებოჭილი ხარ ამ ძაფით. შენც მათთან ერთად სცდილობ, მოქმედებ, გრძნობ და იტანჯები. სცენიდან დაწყებული ქანდარამდე ერთსულოვნება გამეფებულა. სცენაზე უსულო საგანიც კი თითქო სულს ითქვამს, ცოცხლობს და მსახიობის სულიერ მღელვარებას დუმილით ესაუბრება. მაგალითად, მსახიობს მთელი მოქმედების განმავლობაში მხოლოდ ორი ან სამი სიტყვა აქვს სათქმელი; დანარჩენი დრო სცენაზეა და სდუმს... სდუმს, მაგრამ იგი სცოცხლობს. და სხვების სიტყვებში თავის გრძნობებს აქსოვს. მთელი თეატრი სულ-განაბულია. არ გესმის „მაღლა“ და „Тише“. გაფაციცებით ყურს უგდებ, თვალს ადევნებ, სცდილობ არ გამოგეპაროს რომელიმე სიტყვა ან მოქმედება, იმიტომ რომ აქ შექმნილია ისეთი სამეფო, სადაც ყველაფერი ერთმანეთში გადახლართულია და ერთს-მეორესთან ახლო დამოკიდებულება აქვს.

გათავდა მოქმედება. დაიხურა ფარდა, მაგრამ ხალხი ისევ იმ მდგომარეობაშია, გულჩათხრობილი ზის და ელოდება რაღაცას. განათდება თეატრი, აქა-იქ კუთხეებში გაისმის ჩურჩული და მხოლოდ მაშინ მოდიხარ გონს და თითქო რაღაც დიდი, მძიმე ტვირთი აგკიდეს ზურგზე—ზანტად წამოდგები და მიდიხარ ფოიეში. აქაც კი ნახულის შთაბეჭდილებით და გარშემო გამეფებულ ატმოსფერით ყველა ჩაფიქრებულია და დაღვრემილია.

ჰხედავ საზოგადოების ამგვარ ქცევას და გებადება ასეთი კითხვა: „რატომ არის, რომ ამავ საზოგადოებას სხვა თეატრებში—ნეზლობინთან, კორშთან, პატარა თეატრში—თავისუფლათ უჭირავს თავი როგორც ანტრაქტებში, ისე მოქმედების დროსო“? როცა ამ თეატრებში ვარ ხოლმე, ჩვენი ტფილისის თეატრები მაგონდება: ანტრაქტებში სიცილ-ხარხარი, ხმაურობა, მოქმედების დროს—ხველება და ჩურჩული, მაგრამ აქ სულ სხვაა. აქ ყოველ კუთხიდან გამოიყურება სტანისლავსკის თვალები, ჰაერი გამსჭვალულია მისი ძლიერი სულით და საზოგადოებას ასწავლა, ხელოვნებას უყუროს ისეთივე პატივისცემით, როგორც თითონ მას ესმის.

შეუძლებელია სიტყვით გამოსთქვა ის, რასაც ჰგრძნობ აქაურ წარმოდგენების ნახვით. მოვიყვან მხოლოდ ერთი მაყურებლის სიტყვებს:

„როცა სამხატვრო თეატრში წარმოდგენას ვისმენ, თავს უხერხულათ ვგრძნობ. ასე მგონია, ჩასაფრებული ვარ და სხვის კერძო ცხოვრებას საიდუმლოთ ყურს ვუგდებ მეთქი“...

ამაზე მეტი დაფასება, უკეთესი რეცენზია სასცენო ხელოვნებისათვის შეუძლებელია. მართლაც რომ ასე ჰგრძნობ თავს... და როდესაც ამ დროს ხალხში ვინმე ველარ მოითმენს და დაახველებს, უცბათ ერკვევი, გონს მოდიხარ, და ჰხვდები, რომ თეატრში ხარ და წარმოდგენას ჰხედავ... თან ბრაზი მოგდის მოურიდებელ ავადმყოფზე, რომ ამ საამო ოცნებიდან გამოგარკვია.

გათავდება წარმოდგენა და საამო ფიქრით მოცული, სასიამოვნო შთაბეჭდილებით, თითქოს ეს არის სალოცავიდან გამოხვედი—ცოდო მონანიებული, თავისუფალი მიდიხარ სახლში. მხოლოდ მეორე დღეს უფრ

ბოლგარულ სკოლების რევიზია. რევიზიის უფლება ექნებათ მხოლოდ ოსმალეთის სახელმწიფო ინსპექტორებს. ბოლგარები მინისტრის განკარგულებაში თავიანთ სკოლების ავტონომიის დარღვევას ჰხედავენ. ბოლგარები პროტესტის გამოცხადებას აპირებენ.

### სპარსეთი

**თავრიზი.** მცხოვრებლები არ აასრულებენ თეირანიდან მოსულ ბრძანებას და დიდის ამბით დღესასწაულობენ ახალ წელიწადს. სათარ-ხანი და ბაგირ-ხანი ბასმანჯანიდან გავიდნენ და ამ ჟამად ხაჯიევში იმყოფებიან.

### რუსეთი

**პოლტავა.** განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებლის განკარგულებით დააპატიმრეს სოფელ ვაზნესენკას მღვდელი. ბრალდება სახელმწიფოს წინააღმდეგ ბოროტ-მოქმედება.

**ცარსკოე სელო.** ნაშუადღევის 4 საათსა და 45 წუთზედ ჩამოვიდა სერბიის მეფე.

**პეტერბუგი.** 15 მარტს სახელმწიფო საბჭო შეუდგება 1906 წლის 9 ნოემბრის ბრძანების განხილვას.

**პეტერბურგი.** საერო განათლების მინისტრის განკარგულებით საბეითლო ინსტიტუტში აღარ მიიღებენ სემინარიის ოთხ კლასის კურს დამთავრებულებს.

**კავკავი.** მეცხვარე მამონტაკს, მეცხვარეების კრების თავმჯდომარეს, გაჩხრეკის დროს, უპოვეს ხუთი წერილი. ეს წერილები თვით მამონტაკის ხელით არის დაწერილი და სხვა და სხვა მეცხვარეებს 13,000 მანეთს სთხოვს. წერილები ზელიმხანის სახელით არის დაწერილი.

**სიმფეროპოლი.** დათხოვნილმა დარაჯმა რამდენჯერმე რევოლვერი ესროლა ბოქაულს პადეისკის და მსუბუქად დასჭრა.

**ასხაბადი.** უცნობმა მოჰკლა დეპოს უფროსი ინჟენერი ივანოვი.

**პეტერბურგი.** გამომძიებლის განკარგულებით დააპატიმრეს თავადი ბ. გ. ვოლკონსკი. ბრალდება სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედება.

## დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**პეტერბურგი, 10 მარტი.** უმაღლეს წრეებში დიდი მითქმა-მოთქმაა. მოელიან ზოგიერთ მინისტრების გადადგომას. ყოველივე ეს გამოიწვია კრიზისმა სათათბიროში.

ეპისკოპოსი კირიონი გუშინ, 11 მარტს, თანახმად სინოდის ბრძანებისა, წავიდა საცხოვრებლად სევასტოპოლს ხერსონისის ვლადიმერის მონასტერში.

# ახალი ამბავი

### ტფილისი

**მატარებელზე თავდასხმა.** 9 მარტს, დილის 8 1/2 საათზე, საჯევახოსა და ნიგოითს შუა უბედურება მომხდარა საქონლის მატარებელზე (№ 323). მე-16 ვერსზე ვიღაც ბოროტ-მოქმედებს ლიანდაგი აუყრიათ. სდომებიათ გაძარცვა მეარტელესი, რომელიც ზემოხსენებულ მატარებლით მოდიოდა თურმე. მემანქანეს შეუმჩნევია, რომ ლიანდაგი გაფუჭებული ყოფილა, მაგრამ რადგან ეს ადგილი დაქანებულია, მატარებლის გაჩერება ვერ მოუხერხებია. ორთქლ-მავალი და 10 ვაგონი გადავარდნილა ლიანდაგიდან და დამსხვრეულა. იქვე მომკვდარა ობერ-კონდუქტორი მეგრელიშვილი. ამ დროს ბუჩქებიდან, როგორც „კავკ." გადმოგვცემს, გამოვარდნილა ოცამდე შეიარაღებული კაცი და აუტეხნიათ სროლა იმ ვაგონისთვის, რომელშიაც მჯდარა მეარტელე. ამ უკანასკნელს ფული მიჰქონდა თურმე რემონტის მუშებისთვის დასარიგებლად. მეარტელესთან მყოფ სტრაჟნიკებს სროლითვე გაუციათ პასუხი. ამ სროლის დროს მოუკლავთ მეარტელე სტრიგანოვი და დაუჭრიათ სამი სტრაჟნიკი ჟურავლევი, ხომენკო და შკარაბეინიკოვი. თავ-დამსხმელთ ფული ვერ წაუღიათ. ბოროტ-მოქმედთა შესაპყრობად სამტრედიიდან გაუგზავნიათ რკინის გზის ბატალიონის როტა. ტფილისიდან წასულა რკინის გზის ჟანდარმთა უფროსი. ეჭვი არ არის, ეხლა ჩვეულებისამებრ ახლო-მახლო სოფლელებს დასჯიან. ასეთი ნაყოფი მოაქვს შანტაჟისტების მოქმედებებს.

**დამზღვევი საზოგადოება.** ტფ. ურთიერთ დამზღვევ საზოგადოების წლიური კრება დანიშნულია 14 მარტისთვის. კრება მოხდება საზოგადოების დარბაზში, პუშკინის ქუჩაზე. კრება განიხილავს ანგარიშს, ხარჯთ-აღრიცხვას და საქმეებს. უნდა მოხდეს აგრეთვე არჩევანი გამგეობის წევრისა, ნაცვლად თავ. არგუთინსკისა, რომელსაც სამსახურის ვადა გაუთავდა. საანგარიშო წელს საზოგადოების წმინდა მოგება 59,000 მანეთს უდრის.

**ელექტრონი ფუნიკულერზე.** ტრამვაის დირექტორმა შუამდგომლობა აღძრა ტფ. ქალაქის გამგეობის წინაშე და სთხოვა, ნება მისცეს ბელგიის უსახელო საზოგადოებას გაიყვანოს ელექტრონის ძალა მამადავითის გორაზე ფუნიკულერისთვის, იმ პირობით, რომ ფუნიკულერის სადგური სათადარიგო სადგურად ჩაითვალოს. გამგეობამ დაადგინა, დაავალოს ქალაქის ინჟენერს ტეხნიკოსებთან ერთად გამოარკვიოს, რამდენად მოსახერხებელია უსახელო საზოგადოების შუამდგომლობის შეწყნარება, მისი განხორციელება საშიში იქნება თუ არა ფუნიკულერის წესიერ მოძრაობისთვის და სხვა.

**მუსულმანთა საქველმ. საზოგადოება.** მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობა მხნედ მუშაობს. ქალაქმა უკვე დაუთმო საზოგადოებას ქალთა სკოლისათვის ადგილი და ეხლა საზოგადოება იმის ცდაშია, იშოვნოს თანხა სკოლის შენობის ასაგებად. გამგეობამ ამისთვის შეძლებულ მუსულმანებს მიჰმართა. ამ ცოტა ხანში საზოგადოება გამართავს ბალს.

**ტუსაღის მოკვლა.** ბაქოში ცენტრალურ სატუსაღოში მოდარაჯე სალდათს მოუკლავს ერთი ტუსაღი. (კ.)

**ხილეულობის გამოფენა.** სამშაბათს, 10 მარტისთვის დანიშნული იყო სხდომა კავკ. სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოსი. სხდომა წევრთა დაუსწრებლობის გამო არ შესდგა. მოხდა დამსწრეთა კერძო თათბირი მდივნის ეირაპოვის განცხადების გამო—წელს შემოდგომაზე ტფილისში ხილეულობის გამოფენის გამართვის შესახებ. გამოითქვა სურვილი, გამოფენა ოქტომბრის ბოლო რიცხვებში გაიმართოს.

**ნავთის შადრევანი.** სურახანში „ბაქოს საზოგადოების" სამრეწველოში ამოუხეთქია ნავთის შადრევანს, რომელიც დღე-ღამეში 200,000 ფუთს იძლევა.

**პოლიციის შეიარაღება.** გუშინ გუბერნატორმა აცნობა ტფ. ქალაქის გამგეობას, რომ იგი წინააღმდეგი არ არის სისრულეში მოყვანილი იქნას ქალაქის საბჭოს 22 თებერვლის დადგენილება პოლიციის შეიარაღების შესახებ. რაც შეეხება პოლიციელების ძველი იარაღის დაბრუნებას, გუბერნატორი იწერება, ძველი იარაღის დაბრუნება იმაზეა დამოკიდებული, თუ ვისი ფულით არის იგი შეძენილი: თუ ხაზინის ფულით არის ნასყიდი, იარაღი, როგორც უვარგისი, ადმინისტრაციის განკარგულებით უნდა მოისპოს.

**ქალაქის თავის გარდაცვალება.** განჯაში გარდაიცვალა განჯის ქალაქის თავი ასკერ. ბეკ ადიგეზალოვი. ტფ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ტფ ქალაქის მცხოვრებთა სახელითი მწუხარება გამოუცხადოს განჯის ქალაქის საბჭოსა და გარდაცვალებულის ოჯახობას.

კიროჩნი და ავჭალის ქუჩების შესართავთან მირზოევის სახლი ამ რამდენიმე წლის წინად ქალაქს დარჩა. ვიდრე სახლი ქალაქის ხელში გადავიდოდა მირზოევისთვის ამ სახლის გირაოთი ჩერქეზიშვილისას უსესხებია—6000 მანეთი. ჩერქეზიშვილის ქვრივმა გამგეობას სთხოვა, გადაიხადოს ეს ფული. გამგეობამ დაადგინა, გადასდოს 6000 მან. ვალის გასასტუმრებლად.

ამ დღეებში წყნეთის ქუჩაზე მცხოვრებ (სახლი 26) თავ. ვაჩნაძის მოსამსახურე ქალი, 14 წლის ელო (ელენე) სადღაც დაკარგულა. ბავშვი სოფლიდან ჩამოუყვანიათ და ეჭვი აქვთ, რომ ბოროტმა სულებმა ისარგებლეს მისი გამოუცდელობით და გაიტყუეს სადმე. ბავშვის ასავალ-დასავლისა არა იციან-რა.

დღეს, 11 მარტისთვის, მიწვეულნი არიან ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსნები და ტეხნიკოსნები. მათ ქალაქის გამგეობასთან ერთად უნდა დაათვალიერონ ციციანოვის აღმართზე ის ადგილი, რომელიც მელიქ-ფარსადანოვს მიუთვისებია და სადაც მას სახლი აუშენებია.

როგორც გვწერდით, ტრამვაის დირექტორმა ქალაქის გამგეობას აცნობა, ზოგგან, სადაც ტრამვაი დადის, საჭიროა ქუჩების შეკეთებაო. გამგეობის განკარგულებით, წარსულ კვირაში ქალაქისა და ტრამვაის ტეხნიკოსებმა დირექტორთან ერთად დაათვალიერეს ქუჩები და გამოარკვიეს, სად არის საჭირო შეკეთება.

9 მარტს მე-8 ნაწილში დააპატიმრეს ადმინისტრატიული წესით გადასახლებული კონსტანტინე რევაზოვი, რომელიც ნებადაურთველად დაბრუნებულა. ამავე დღეს მე-8, 4 და 12 ნაწილში დააპატიმრეს 22 უპასპორტო კაცი.

### ქუთაისი

**სად.-მამულო ბანკის თავმჯდომარე.** თუმცა საადგილ მამულო ბანკის გამგეობას ჯერ არ მიუღია ფინანსთა მინისტრისაგან ცნობა, რომ მთავრობის აპეკა ბანკზე მოხსნილია, მაგრამ ეს საკითხი გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს, რადგან ეხლანდელ თავმჯდომარეს ბანკისას ერემიევს უკვე მოსვლია ქაღალდი, რომ იგი დანიშნულია ფინანსთა მინისტრის რწმუნებულად დონის როსტოვში დონის საადგილ-მამულო ბანკში. ბ-ნი ერემიევი დარჩება ქუთაისში ბანკის რწმუნებულთა კრებამდე, რომელიც მოხდება მომავალ აპრილის მიწურულებში. კრებას ასარჩევი ეყოლება გამგეობის თავმჯდომარე, ნაცვლად ერემიევისა, და გამგეობის წევრი, ნაცვლად ივ. ჯაიანისა, რომელსაც სამსახურის ვადა უთავდება.

**უსტინოვიჩის ინციდენტი.** ამ ჟამად ქუთაისში იმყოფება სამოსწავლო ოლქის ინსპექტორი ლარიონოვი, რომელიც, გარდა სასწავლებლების რევიზიისა, იძიებს თურმე უსტინოვიჩის ინციდენტს. ქალაქში ხმა დადის, რომ ოლქის სფერებში ამ საქმის გადაფუჩება უნდათო. რამდენად მართალია ეს ამბავი, არ ვიცით, მაგრამ ასეთი ტენდენცია ოლქისა ვგონებთ კარგ ნაყოფს ვერ გამოიღებს.

**კალ. ჩიკვაიძე.** ერთი დრო კაცს არ შერჩებაო, ამბობს ქართული ანდაზა. იყო დრო, როცა კალისტრატე ჩიკვაიძე სრული ბატონ-პატრონი იყო ქუთათურ არჩევნებისა და საადგილ-მამულო ბანკში ხომ სრული დიქტატორობა დაიმკვიდრა. იქნება აქამდისაც გაგრძელებულიყო ასეთი მდგომარეობა, რომ მთავრობას არ გადაეყენებინა იგი. ეხლა დრონი იცვალნენ. ბანკის რწმუნებულობა მოუსურვებია ბ-ნ ჩიკვაიძეს და რაკი კარგად იცოდა, რომ შორაპანში ვერას გააწყობდა წერეთლებთან, ოზურგეთის მაზრაში მოუნდომებია არჩევა, მაგრამ გამორკვეულა, რომ არც იქ ჰქონია არჩევის შანსი და განზრახვაზე უარი უთქვამს.

# მოწერილი ამბები

**ხონი.** კვირას, 7 მარტს, მოხდა წ.-კ. საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების წლიური კრება. კრებაზე გასარჩევი იყო შემდეგი საგნები: 1. გასული წლის ანგარიში; 2. მდგომარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა; 3. გამგეობის ერთი წევრის არჩევა ნაცვლად შ. მიქელაძისა; 4. გამგეობის მოხსენება ერთი წევრის მომატების შესახებ; 5. საკითხი დელეგატების გაგზავნის შესახებ ტფილისში საზოგადო კრებაზე; 6. საკითხი საწევრო ფულის დაკლების შესახებ და 7. ახალ წევრების მიღება.

პირველად კრებამ პატივი სცა განსვენებულ მარიამ დემურიას ხსოვნას და ეს პატივისცემა ფეხზე ადგომით გამოხატეს. შემდეგ წაკითხულ იქმნა 1909 წლის ანგარიში. ანგარიშებიდანა სჩანს, რომ განყოფილებას ჰყოლია გასულ წელს 33 წევრი, რომელთა საწევრო გადასახადი სრულიად წარუდგენიათ მთავარ გამგეობაში ტფილისს. გამგეობას თავის მოვარჯელობის ქვეშ მიუღია ადგილობრივი ბიბლიოთეკა-სამკითხველო და მისი შენახვა თავს უდვია. გამგეობას თავის წმინდა მოვალეობად დაუსახავს აგრეთვე აშენება ხონში სახალხო სახლისა. ამ მიზნისათვის გამგეობას დაუარსებია სპეციალური თანხა შემდეგის სახელწოდებით „სახალხო სახლის სამშენებლო თანხა". სამშენებლო თანხაში გასულ საანგარიშო წლის ყოფილა 171 მან. 30 კაპ. აქედან 100 მანეთი უსესხებია სათეატრო კომისიისათვის. გამგეობას ყურადღება მიუქცევია აგრეთვე სახლის მოწყობისათვის. ამ აზრით გაუმართავს ერთხელ სახალხო სეირნობა და ერთხელაც სალიტერატურო საღამო. გაუხსნია აგრეთვე წიგნისა და საწერლთ ნივთების მაღაზია, რომელსაც მოუცია გასული წლის ოთხი თვის განმავლობაში 99 მან. 63 კაპ. გამგეობას გადაუწყვეტია თავის მოქმედებების გაფართოვებაც, გაფართოვება არსებულ წიგნის მაღაზიის მოქმედებისა, შენახვა ხონის ბიბლიოთეკა-სამკითხველოსი, დახმარება შეძლებისდაგვარად არსებულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, გახსნა ახალ ბიბლიოთეკებისა და მოწყობა სახალხო კითხვებისა და ლექციებისა.

ანგარიშის შემდეგ წაკითხულ იქმნა სარევიზიო კომისიის მოხსენება. ამ მოხსენებაში აღნიშნული იყო ნაკლი სამკითხველოსი და წიგნის მაღაზიისა. კრებამ მოხსენებაზე დიდ ხანს ილაპარაკა.

შემდეგ წაკითხულ იქმნა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. მოსალოდნელია ხარჯი 500 მანეთამდის; ამდენივე შემოსავალი იქნება. საკითხი დელეგატების გაგზავნის შესახებ ტფილისში საზოგადო კრებაზე ერთხმად მიღებულ იქმნა. საკითხი კი საწევრო გადასახადის შემცირების შესახებ უარყოფილ იქმნა.

გამგეობამ განაცხადა, რადგან საქმეები ბევრი გვაქვს და ყველას ვერ ავდივართ გამგეობას ერთი წევრი კიდევ მოუმატეთო, საზოგადოებაც თანახმა გახდა ამისა და გამგეობაში აირჩია პოლიკარპე ჩხიკვიშვილი და სერგო მამალაძე. რადგან სერგო მამალაძე სარევიზიო კომისიაში იყო, იმის მაგიერ კომისიაში აირჩიეს ალ. ნიჟარაძე. დასასრულ, კრებამ მიიღო 41 ახალი წევრი.

**ვინ—ე ი—ლი.**

—

**ს. ბერშუეთი** (გორის მაზრა). ამ ჟამად მიწა-წყლის დაკარგვის მხრივ საშიშს მდგომარეობაშია სოფელი ბერშუეთიც. აქაურ ტყე-მინდვრის ერთი ნაწილი ამ რამდენიმე ხნის წინად შეუსყიდნია პოლკოვნიკ ალექსანდრე დავითის ძე სურენიანცს ყოფილ მებატონის სუდხან დამბაროვისაგან. ამ ჟამად სურენიანცსა და ბერშუელ გლეხებს შორის მოლაპარაკებაა თურმე: სურენიანცი წინადადებას აძლევს ბერშუელებს, შეისყიდონ მისი მამული, რადგან მამულის გაყიდვა მოუნდომებია და თურმე მუშტარიც ჰყავს აჩენილი—რუსები და სომხები.

როგორც ხმა დადის სურენიანცი თურმე ყოვლად პატიოსანი ადამიანია, და იმედია, რომ ადგილობრივ მკვიდრს, ბერშუელებს, უცხოელებზე არ გასცვლის, თუნდაც ბერშუელებმა შედავათიანად მოინდომონ მამულის შეძენა. რა თქმა უნდა, ის მინდორ-ველი, რომელიც ბერშუელებს გაუპოხიერებიათ საუკუნოების განმავლობაში, ბერშუელებისთვის უფრო უპრიანია, ვიდრე სხვა მხრიდან მოსულთათვის. ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს ალბად თვითონ ბ-ნი სურენიანციც.

**ბერშუელი.**

# მცირე წერილი

(წერილი რედაქციის მიმართ).

სიონის ტაძარში, სადაც, როგორც ყველა ჩვენგანს მოეხსენება, მთელი წირვა-ლოცვა სრულდება რუსულს ენაზე და საგალობლათაც მხოლოდ მუდმივი რუსული გუნდია, კვირას, 7 მარტს, მომესმა ქართული გალობა („უფალო შეგვიწყალენ"). მივიხედე და მოწამე გავხდი მწარე სინამდვილისა—ქართულად გალობდა რუსული გუნდი... ამაზე მეტი უბადრუკობა ქართულ ეკკლესიისა, ამაზე მეტი შეღახვა ეროვნებისა წარმოუდგენელია. იქ (სიონის ტაძარში), სადაც დაწყებული მეხუთე საუკუნიდან ქართველი მთელ თხუთმეტ საუკუნის განმავლობაში ისმენდა საეკკლესიო გალობას თავის სამშობლო ენაზე, ეხლა იგი (ქართველი) იძულებული ხდება ყური უგდოს რუსის გუნდის გალობას ქართულად...

არ ვიცი, რამ გამოიწვია ის, რომ რუსის გუნდმა უნდა იგალობოს სიონის ტაძარში ქართულად, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ახალ ეგზარხოსის ჩამოსვლისავე ჩვენ გაზეთებში დაიბეჭდა წერილები, ვი-

---

ქრებდი და გინდა გაარჩიო, გამოარკვიო—ვინ უკეთ თამაშობდა, მაგრამ ამაოდ. პირველობას ვერავის აკუთვნებ — ყველანი თავთავიანთ როლებში კარგები იყვნენ. სტანისლავსკიც-კი, ეს ჰენიოსი მისის რეალიზმით, რომელიც ყოველთვის „ის არის, ვისაც თამაშობს"—სხვებისგან არ ირჩეოდა. მაშინ უფიქრდები თვით პიესას, იმის დედა აზრს, იდეას და თვალწინ ცოცხალივით წარმოგიდგება ავტორი; მისი სოციალური მდგომარეობა, მსოფლმხედველობა, ზნე-ჩვეულება, ერთის სიტყვით ყველაფერი, რითაც იგი სცდილობდა და რასაც გრძნობდა, როდესაც პიესას ჰქმნიდა.

სასიამოვნო ნაყოფი მხოლოდ გამუდმებულ, ენერგიულ შრომას მოაქვს. წარმოდგენის ნახვით მიხვდება მაყურებელი, თუ რა ერთხელოვნება უნდა არსებობდეს ამ მუშაკთა შორის, რამდენი სიყვარული, სიფაქიზე და პატივისცემა იხატება ხელოვნებისადმი თითეულ მათგანში.

დილით რეპეტიციაზე შედიხარ თეატრში და ასე გგონია, სადღაც ქურუმთა სამლოცველოში შევედით... ყველა ჩურჩულით ლაპარაკობს, ფეხის ცერებზე დადის, ყველას სახეზე ეტყობა, რომ აქ მოსულა სამუშაოდ და არა სალაზღანდაროდ, ანუ თავის **მოვალეობის შესასრულებლად**. დანიშნულ დროზე იწყება რეპეტიცია და რეპეტიციაზე ისევე თამაშობენ, როგორც წარმოდგენის ღამეს. ყოველი სიტყვა, ფეხის გადადგმა გაზომილ-გამოანგარიშებულია ავტორის აზრისა და პიესის შინაარსის და იდეის შესაფერ-შეხამებული. პირველსავე რეპეტიციაზე ყველას როლები გაზეპირებული აქვს, მაგრამ ჩვენებურად, თეატრალურად კი არა—ყოველი სიტყვა და წინადადება აწონილ-დაწონილია, შესაფერის სახის გამომეტყველებით. ეტყობა, რომ უფიქრნია, უმუშავნია, გონება აუმოძრავებია და როლისა და თვით პიესის დედა აზრი გულის სიღრმემდის ჩასწვდენია, უგრძვნია.

მათი ყოველი შესამჩნევი და ჩვენთვის საყურადღებო მოვლენათა ანალიზი ძალიან შორს წაგვიყვანს, მხოლოდ ამას ვიტყვი გულწრფელად: ამათი მუშაობის მნახველი ჩემი თავი შემზიზღდა და დავრწმუნდი, რომ ხელოვნება აღორძინდება იქ, სადაც ამისთანა თავგანწირული და საქმის მოყვარული მუშაკნი არიან.

რაკი დავიწყე სასცენო ხელოვნებაზე ლაპარაკი, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გამოვსთქვა ჩემი აზრი ქართულ სცენის შესახებაც და ამთავითვე ბოდიშს ვიხდი, თუ ეს ჩემი წრფელის გულით აღიარებული გრძნობები ვისმეს შეურაცყოფს.

ღმერთო ჩემო! რამდენი ამოცანა, რამდენი საკითხი, ღრემდის ბურუსით მოცული, გადამიშალა, ამიხსნა სამხატვრო თეატრმა! რა რიგ გააფართოვა ჩემი ჰორიზონტი, შეხედულება სასცენო ხელოვნებაზე! რამდენი საკითხი აღმიძრა, ერთის შეხედვით სულ უბრალო, რომელსაც ყოველი ახალგაზრდა მსახიობი ინსტიქტიურად ჰგრძნობს, მაგრამ ძველი სკოლით, ანუ მიბაძვით აღზრდილი, თავს ვერ აღწევს რუტინას.

დავიწყებ პიესიდან.

„ხელოვნებისათვის ძვირფასია ის ნაწარმოები, რომელშიაც მხატვარმა თავისი სული ჩააქსოვა". „ხელოვნურ ნაწარმოების შინაარსი თვით ავტორის სულია". *)

თუ ამ თვალით შევხედავთ ხელოვნურ ნაწარმოებს (და სხვაფრივ არც შეიძლება), რაც უნდა იყოს იგი — მხატვრობა, ხუროთ-მოძღვრება, სკულპტურა თუ ლიტერატურა, — ცხადად დავინახავთ, რა დიდი და და პასუხსაგები მოვალეობა აწევს იმის დამფასებელს.

მე ვილაპარაკებ მხოლოდ სასცენო ხელოვნებაზე.

პიესა ხელოვნური ნაწარმოებია. რაკი ესა თუ ის დირექცია თეატრისა პიესას თავის რეპერტუარში შეიტანს, სჩანს იგი მოსწონთ, საყურადღებოდ მიაჩნიათ. იგი დაიბეჭდა, ან იმაზე პრესამ გამოსთქვა რამე აზრი, საზოგადოებაში ლაპარაკია, არჩევენ, მსჯელობენ და სხ. თუნდაც არავინ იცოდეს პიესის არსებობა გარდა ორი ან სამი ადამიანისა და ამათ სურთ მისი სცენაზე წარმოდგენა, მაშასადამე, აქ დირექცია თეატრისა, ანუ ანტრეპრენიორი, რეჟისორი და მსახიობნი ისეთ დიდ კითხვითი ნიშანს სვამენ, ისეთ დიდ ტვირთს იკიდებენ ზურგზე, რომლის აწევა ყველასათვის საეჭვოა. ერთხელ მაინც უკუვაგდოთ ჩვენებური, ქართველური შეხედულება ხელოვნებაზე და შევხედოთ ისე, როგორც შეჰფერის ამ წმინდა საქმეს და როგორც უყურებენ ნამდვილი ხელოვანნი.

ვსთქვათ ავტორმა პიესა დასწერა (მე ვამბობ სერიოზულ პიესაზე, რომელსაც სცენაზე თამაშობენ, თუმცა ცუდებსაც უნდა პატივისცემით მოვექცეთ). ვისაც არ გამოგიცდიათ პიესის ანუ რაიმე მოთხრობის დაწერა, უბრალო წერილი ხომ მაინც დაგიწერიათ?! აბა დაუფიქრდით, რასა გრძნობთ როცა წერილსა სწერთ. „სიტყვები ჩვენი სულიერი მდგომარეობის გამომხატველია... სულის მოციქულია"...*) რამდენნაირად იცვლება თქვენი სულიერი მდგომარეობა! შინაარსის დაგვარად ხან იცინით, ხან ჯავრობთ, ხან ყელში ბოღმა გაწვებათ და ხან თვალები ცრემლებით გევსებათ. სცდილობთ წერილით გადასცეთ ის, რასაც განიცდით გულის სიღრმეში. ეხლა გაითვალისწინეთ დრამატურგის სულიერი მდგომარეობა, რომელიც (დრამატურგი) ერთს თითონ ლაპარაკობს და ათს სხვას ალაპარაკებს; რომელიც არარისგან ჰქმნის ხორციელ ადამიანებს, ათასგვარ ჩვეულებებს, განსაკუთრებულ თვისებებს ჰკრებს ცხოვრებიდან, ერთმანეთში ურევს და როგორც მოქანდაკე, ნაჭერ ნაჭერ აკრავს, აშენებს, აყალიბებს სხეულს, აძლევს სახელს ადამიანისას, მერე ჩაბერავს სულს და თავისებურის ენით ალაპარაკებს. თვითეული ამ დედობრივის ტანჯვით შექმნილი ტიპი ავტორის ღვიძლი შვილია, მისი ხორცის ნაგლეჯი, სულის ნაწილი. მათთან ერთად იგი იტანჯება, სტირის, იცინის, ნეტარებს, ბრაზობს... ეს არის თვით სული ავტორისა, მისი შეხედულება ცხოვრებაზე. მაშასადამე, რომ ავცდეთ ჩვენთვის ჩვეულებათ გადაქცეულ დანაშაულს ხელოვნებისადმი, თუ პიესის დადგმა გვინდა, ჯერ ისე უნდა შევისწავლოთ იგი, რომ ჩვენც ის ვიგრძნოთ, რასაც თვით ავტორი ჰგრძნობდა მაშინ, როდესაც ჰქმნიდა. მისი თვალით შევხედოთ იდეას, ყოველი ტიპი თვალწინ ცოცხლად წარმოვიდგინოთ, როგორც ავტორს. ჯერ უნდა შეგვიყვარდეს ავტორი, რომ შევძლოთ მისი გაცნობა; განვიმსჭვალოთ მისის გრძნობებით, გამოვიხედოთ მისის თვალებით, რომ შევძლოთ მისი იდეის განხორციელება.

**ვალ. შალიკაშვილი.**

(დასასრული იქნება).

*) ვალერი ბრიუსოვი.

*) ემერსონი.

თომ ეგზარხოსს სურს, რომ სიონის ტაძარში გალობდეს რუსულ გუნდთან ერთად ქართული გუნდიც. ესეც ვიცით, რომ ქართველმა სამღვდელოებამ გადასწყვიტა, გადასდოს მცირედი თანხა ეკკლესიების შემოსავლიდან ამ გუნდის შესანახად. აქ მინდა ავღნიშნო ერთი რამ: თუ ამ გუნდის დაარსებას ხელს უშლის (და გასამართლებელი საბუთიც მხოლოდ ეს არის) სიღატაკე ჩვენის ეკკლესიისა, სამღვდელოებას, რომელიც ეკკლესიის თანხიდან დიდ ფულს ხარჯავს ქართულ სასულიერო სემინარიის შესანახად, შეუძლიან მოითხოვოს, რომ ქართველმა სემინარიელებმა შეადგინონ თავიანთ წრიდან ქართული გუნდი და კვირა-უქმე დღეებში იგალობონ სიონის ტაძარში. სემინარიელები, რომელთა შორისაც ბევრია ქართულ საეკკლესიო გალობის მცოდნე, სიხარულით გაუწვდიან ხელს ამ შემთხვევაში ჩვენს სამღვდელოებას.

ნუ თუ ამ უბრალო საქმის მოწყობაც მოუხერხებელია?! **ი. კახელი.**

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** სამშაბათს, 9 მარტს, ქართულ თეატრში წარმოდგენილ იქმნა შექსპირის ტრაგედია „ჰამლეტი“. კარგები იყვნენ: ვ. ალ.-მესხიშვილი, ალ. იმედაშვილი, მდივანი და ზარდალიშვილი. დანარჩენნი სუსტობდნენ, განსაკუთრებით ხელმწიფისა და მეუღლის როლის ამსრულებელნი. საერთოდ წარმოდგენამ უფერულად ჩაიარა. მეექვსე სურათი, არ ვიცით, რა მიზეზით, გამოაკლეს.

# შორეულ აღმოსავლეთი

**მანჯურიაში.**

შორეულ აღმოსავლეთში რუსობა შეშინებულია და დიდ ამბებს მოელის. რუსეთ-ჩინეთის საზღვარზე და მანჯურიის რკინის გზაზე ყველანი შეწუხებულნი არიან და ფრთხილი ხალხი უკვე მიდის ხარბინიდან. მანჯურიის რკინის გზის ოფიციოზური გაზ. „ხარბინსკი ვესტნ.“-ი შეწუხებული სწერს:

„ჩვენიმხარე (მანჯურია) მთლად მოწყვეტილია რუსეთისაგან. ნოემბერში მთელი რუსეთი ყვიროდა, რომ საცაა ომი დაიწყება შორეულ აღმოსავლეთში, ხოლო ხარბინში ეს ამბავი ორის კვირის შემდეგ გაიგეთ რუსეთის გაზეთებიდან. ეხლა აქ ეკონომიურ ნიადაგზე დიდი უთანხმოება მოგვდის ჩინეთთან, ხოლო რუსეთში სრულიად მოწმენდილად მიაჩნიათ შორეულ აღმოსავლეთის პოლიტიკური ცა. ამბობენ, ვითომ პეტერბურგში დარწმუნებულნი არიან, რომ რუსეთის ურთიერთობა ჩინეთთან უმჯობესდება და არ უარესდებაო“.

რომ ურთიერთობა რუსეთსა და ჩინეთს შორის უარესდება და არ უმჯობესდება,—ეს უცილობელი და უტყუარია. ამისი ბრალი მთლად თითონ რუსეთს უნდა დაედვას. რუსეთმა პირველმა დაარღვია ხელშეკრულობანი ჩინეთთან და დააწესა დიდი ბაჟები, დახურა პორტო-ფრანკო კიახტაში, რომელიც ხელშეკრულობის ძალით მუდამ დია უნდა ყოფილიყო თავისუფალ ვაჭრობისთვის. ჩინელებმა ამის პასუხად თითონაც ბაჟები დაადვეს რუსის საქონელს და აკრძალეს პურის გატანა რუსეთის სამფლობელოში. მაგრამ რუსების საბედნიეროდ პურის გასყიდვის აკრძალვაზე ხმა ამოიღეს ინგლისელებმა და ჩინელებმა და მათის მეცადინეობით, ჩინეთის მთავრობამ გააუქმა ეს დადგენილება.

რუსებს ხომ ჩინელები ამ ბოლოს დროს მაგდენად აღარაფრად აგდებენ. ჩინელები ყურს არ უგდებენ და აღარ ასრულებენ ხარბინის თვითმმართველობის დადგენილებებს,—ეს ხომ აღარავის უკვირს და სრულიად ჩვეულებრივ საქმედ ითვლება. ბოლოს დრომდე ჩინეთის ჯარს არ შეეძლო რუსის რკინის გზის ახლო მდებარე ადგილებში მისვლა რუსის მოხელეების დაუკითხავად. ეხლა ჩინელმა გუბერნატორმა მიწერილობით გამოუცხადა რუსის რკინის გზის მმართველობას, რომ ჩინეთის ჯარი რუსის მოხელეებს აღარ დაეკითხება და როცა-კი დასჭირდება, თავისუფლად შევა რკინის გზის ადგილებშიო. რუსული გაზეთები შორეულ აღმოსავლეთში სავსეა ცნობებით, რომ ჩინელები აშკარად იგდებენ რუსის მოხელეებსაო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩინეთის საბაჟომ არ გაუშვა იარაღი, რუსეთიდან გამოწერილი ამურის ოლქის დარაჯებისთვის. რუსებმა პროტესტი განაცხადეს საბაჟოს მოქმედების წინააღმდეგ, მაგრამ ჩინეთის მთავრობამ ყურიც არ გაიბერტყა. ჩინელები ბეჯითად ცდილობენ მანჯურიაში თავიანთ დაკარგულ გავლენის აღდგენას და ამ პროვინციის დაბრუნებას. ჩრდილოეთ მანჯურიაში გულმოდგინედ ასახლებენ ჩინელებს. რუსეთის საზღვარზე დათესილ მიწების სივრცეს მოუმატა 770 ათასი დესეტინა, გაჩნდა ბევრი ახალი სოფელი, გაიყვანეს დიდძალი ახალი გზა.

ამავე დროს მანჯურიაში დგას რამდენიმე დივიზია ევროპიულად გაწვრთნილ ჩინელ ჯარისა და თანდათან ახალ-ახალი ჯარიც ემატება. აქედან ჩანს, რომ მდგომარეობა რუსეთ-ჩინეთის საზღვარზე მეტად სერიოზულია. ჩინეთი იღვიძებს, იქაური განმანათავისუფლებელი მოძრაობა ძლიერდება, იქ აპირებენ კონსტიტუციის დაწესებას და ხალხი მოუთმენლად მოელის პარლამენტის მოწვევას. სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვა წელსვე გაუგზავნეს განსაცნობად პროვინციალურ პარლამენტს. ამასთანავე ძლიერდება პატრიოტული მოძრაობაც: ჩინელები კრებებს ახდენენ, პროტესტს აცხადებენ და მოწოდებებს ავრცელებენ უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ.

(„რ. ვ.“)

# უცხოეთი

**აგრარული მოძრაობა საბერძნეთში.**

როგორც დეპეშებიდან ვიცით, საბერძნეთში თესალიაში დაიწყო დიდი აგრარული მოძრაობა. თესალიელი გლეხები მიწების ჩამორთმევას ემუქრიან მემამულეებს. ზოგიერთ ოლქში წესიერად, დინჯად იქცევიან გლეხები, სამაგიეროდ ზოგიერთში დიდს უწესოებას ახდენენ: მაგალითად, კორდიცში 3,000 გლეხმა დააყენა რკინის გზის მატარებელი, გაძარცვა ბარგის ვაგონები, დასპრა მემანქანეები და სხვა. მთავრობამ იქ ჯარი გაგზავნა, ხოლო საბერძნეთის პირველმა მინისტრმა დრაგუმისმა განაცხადა: ძლიერ სამწუხაროა თესალიელ გლეხების მდგომარეობა, მაგრამ მთავრობას უფულობის გამო მათი შველა არ შეუძლიანო. თესალიელი დეპუტატები მალე პარლამენტს წარუდგენენ კანონ-პროექტს თესალიის საადგილ-მამულო საკითხის გადაწყვეტის შესახებ. ამ კანონ-პროექტით მთავრობამ თესალიაში ძალდატანებით უნდა შეისყიდოს მამულები. თესალიელ დეპუტატების ანგარიშით, გლეხების დასაკმაყოფილებლად საკმაო იქნება 70—80 ათას ჰეკტარ (1 ჰეკტარი უდრის დაახლოვებით დესეტინის ცხრა მეათედს) მიწის გამოსყიდვა, რაც 30 მილიონ ფრანკად დაჯდება.

# ბიბლიოგრაფია

Н. Я. Марръ. Яфетическое происхожденіе армянскаго слова Margarey— пророкъ. Извѣстія Императорской Акад. Наукъ 1909. (Bulletin de e' Akademie Imperiale des Sciences Saint.-Petersburg). და Яфетическій у въ армянскомъ языкѣ. Отдѣльный оттискъ изъ Записокъ Восточнаго Отдѣленія Императорск. Русскаго Археологическаго Общества, т. XIX, С. Петербургъ. 1910.

ბ-ნი მარრის ამ ორის ახალი წერილის შესახებ უკვე დაისტამბა „დროება“-ში ბ-ნი პეტრე მირიანაშვილის ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, მაგრამ რადგან მკითხველს გაუძნელდება ნამდვილი წარმოდგენა მიიღოს ბ-ნი მარრის დასახელებულ შრომათა შესახებ, ამიტომ საჭიროდ ვრაცხ მოვიყვანო ხელახლად პირველის წერილის შინაარსი, ხოლო, ფაქტების გადასხვაფერების გამო, მეორის დაახლოვებით სრული სახე, და მხოლოდ შემდეგ გამოვსთქვა ჩემი ორიოდე სიტყვა წინამდებარე წერილების შესახებ.

პირველს წერილში მეცნიერი ეხება სომხურ სიტყვას *մարգարէ* — (წინასწარმეტყველი), ადარებს მას იაფეტური შტოის ენებს: ქართ.-მესხურს, სვანურსა და თუბალ-კაენიანს (იგულისხმე მეგრულ-ჭანური) და ის დასკვნა გამოჰყავს, რომ სომხურს margarey-ში იმლება ქრისტიანობაზე ადრინდელი თერმინი ასტრალური კულტით (margarey— ქართ. მარიგ—ვარსკვლავი, მემარგე—ვარსკვლავთ-მრიცხველი). სიტყვა margarey, მეცნიერის აზრით, ყოველ შემთხვევაში იაფეტურის ჩამომავლობის სიტყვაა, მაგრამ მას ჰქონდა და დღესაც შერჩენია მნიშვნელობა არა მარტო გაარიელებულ სომეხთა, არამედ სხვა კიდევ უფრო არიელ ერთა კულტურულ-ისტორიულ ცხოვრებაშიო“. წინამდებარე შენიშვნა, დასძენს მეცნიერი, ხსენებულის ძირის ლინგვისტიური ისტორიის მხოლოდ ფურცელიაო.

მეორე წერილში, როგორც ზემორე მოყვანილი სათაურიდანაც სჩანს, ეხება იაფეტურ ყ-ს სომხურს ენაში.

კორკისა და კბილის მიერი აფრიკატები სომხურს ენაში შენახულან ისეთისავე სავსებით, როგორც იაფეტურის შტოის წმინდა წარმომადგენელთა შორის: წ, ჭ, ძ, ჯ, ც, ჩ, თ. პირიქით, კორკის მიერი აფრიკატები სომხებს აკლიათ. ალბად სომხურის ენის ინდო-ევროპიული შედგენილობა ამ ნაწილს სხვაზე მეტად დატყობია, თუმცა შესაძლებელია ისიც, რომ კორკის მიერი აფრიკატების გადაშენების მიზეზი მოიძებნოს თვით წინამდებარე ბგერათა თვისებაში, რადგან წმინდა იაფეტური შტოის ენებშიაც ვამჩნევთ კორკის მიერი აფრიკატების თანდათანობით გაქრობას: a) ძველქართულის ყ დღემდის შენახულა მხოლოდ დიალექტურად; აღარ იპოვება იგი არც ჭანურსა და მეგრულში; в) ქ-ნი და კ-ნი არეულან თითქმის ქართულშიაც, თუმცაღა იქ უფრო შენახულა ქ-ნის, ვიდრე კ-ნის ბგერებრივი თვისება.

დასავლეთის ჭანურში გაჰქრა ყ—რიც, ზოგჯერ გაერთდა, ისე როგორც სომხურში, კ-ნთან, რისთვისაც, მაგ., ქართული „წყალი“ ჭანურად გამოითქმის „წკარი“-ად და სხვა ამგვ.

ყ—რის ამგვარი გადაგვარება დასავლეთის ჭანურში, მეცნიერის აზრით, გამოწვეულია ბერძნული ენის ძლიერის მეზობლური გავლენითა. სომხურში, რომელიც მეტის-მეტად გაარიელდა, ამ გარდაგვარებას, რა თქმა უნდა, უფრო ძლიერ უნდა ეჩინა თავი. ამიტომაც სომხურში ჩვენ ვერ ვხდებით ვერც ყ—რს, ვერც კ—რს, და სიტყვებს, რომლებსაც ეს ბგერა უნდა ქონოდა შეუცვლიათ იგი კ—ნად. ამნაირად, სომხურს კ—ნში, მეცნიერის აზრით, ჩვენ ვხედავთ მარტო ერთის იაფეტურის მხრით სამს კ—ნის წარმომადგენელს: კ—ნს, ყ—რსა და კ—რს. ამ გზობისად ბ-ნ მარრს მოჰყავს საბუთები, რომლებიც მოწმობს, რომ სომხური კ—ნი არის წარმომადგენელი ქართულის ყ—რის (=არაბ. aინის (კორკის მიერი ბგერა), (რაც დახასიათებელია იაფეტური ენების, რომლებიც სემიტურ ენებთად ერთად დაშორებულია ინდო-ევროპიულ ენებზე.

მაგალითები: სომხური კ-ნი, არიულზე ადრინდელი ყ-რი უდრის იაფეტ. ყ-რს, თანამედროვე იაფეტური ყ (=ღ), resp. წ (=ძ).

1. არიულზე ადრინდელი სომხური ყნ უდრის იაფეტ. ყნ-ს. *կական* (კაკან)—ყაყანი.

1. *կանաչ* (კანაჩ)—ყანა.

2. *կանուխ* (კანუხ)—ყონა, ათინ. ონა.

3. არიულზე ადრინდელი (=ყრჭ) Krt უდრის იაფეტ. ყრწ ყრძ/ყრტ.

1. *կոկորդ* (კოკორდ)—გურ. ყორყა.

2. *կիրճ* (კირჭ)—ქართ. კორჯი. *կոկորդ* — ყარყანტო. ხარხა-ხახაყირყინტი, ყრონჭი. ყრონტი. იმერ. ყორყინტი.

4. არიულზე ადრინდელი სომხურ (*,ყრ=) შყრ=იაფეტ. შყრ. სყრ/სყლ=(უწრ/(წყლ *կուր* (=,ყორ-ი).

1. ქართ. წყარო, 2. ქართ. წყალი.

მეგრული „წყარი“ და ჭანური „წკარი“. მეცნიერს როდი მიაჩნია ძირეულ თუბალკაენიანთა სიტყვებად; მათ იგი სთვლის ქართული ჯგუფიდან ნასესხებად. თუბალკაენიანს ჯგუფში ძირი (სყლ=) წყლ აგრეთვე წარმოდგენილია, მაგრამ თავდაპირველ სიბილიანტის გარდაბგერებით, ისე როგორც სომხურში, ე. ი. შ—ნის (ქართულში ს) ,*)—დ და განხმიერებით ყ—რისა ღ—ნის სახით, მაშასადამე, ,*) ღლ, საიდანაც ღალი (,*) ღალ-ი) (შეად. ცნობილის მდინარის სახელწოდება ღალის.

5. არიულზე ადრინდელი ყერ უდრის იაფეტ. ყვრ.: თუბ.—კაენ. ყვრ. *կուռ* (კუჲრ)—თბ. — კაენ. ჩვერ, ვერ. მეგ. დეეჩვერე—,ვერე.

რადგან ყ—რისთვის ნამდვილი გარდაბგერებული ექვივალენტი წ—ლია, ამიტომაც ჩვენ ხშირად სომხურის კ—ნის შესატყვისად, resp. არიულზე ადრინდელი ყ-რი, ვხვდებით წ—ლს (ამ ჟამად წ—ლისა და ყ—რის პირველობის საკითხს არ ვეხებითო).

6. არიულზე ადრინდელი სომხ. ყრთ უდრის იაფეტ.: ქართ. წრთ-ს

1. *կիրթ* (კირთ) კურთ— 1. ქართ. წურთა.

2. *կրթել* (კრთელ) 2 წურთნა

7. არიულზე ადრინდელი სომხ. ყრთ. უდრის იაფეტ: ქართ. წრტ. *կէտ*, 1. წერტა 2. წერტილი 3. წერტილი.

8 არიულზე ადრინდელი სომხ. ყით უდრის იაფეტ: ქართ. წუთ (=წვთ). 1. *կաթ-կաթել* (კათ-კათელ). 1. ქართ. წვეთი. 2. წთოლა-წთის.

b. *կաթիլ* (კათილ) თუბალკაენიანში უნდა ყოფილიყო ჭვით, აქედან სომხ. *շիթ*—წვეთი. *ծայր* (წაჲრ)—წვერი.

არიულზე იდრინდელს სომხურში ზოგჯერ თავს იჩენს ყრუ აფრიკატი ყ-რი, იმ შემთხვევაში, როდესაც გადარჩენილს იაფეტურ ენებში ხმიერი ღ-ნი გვაქვს.

9. არიულზე ადრინდელი სომხ. ყწწ უდრის იაფეტ.: ქართ. ღწწ.

1. *կծի*—ძუნწი. 1. ქართ. ღუნწი, ღ-ნის გარდაბგერებით ძ-ზე ქართ. ძუნწი.

10. არიულზე ადრინდელი სომხ. ყჯ.=იაფეტ.: ქართ. ღრ=თ=.-ეღჯ. *կինջ* (კინჯ). 1. ქართ. ღორი. *կինճ* (კინჭ) 2. ჭან. ღეჯი. 3 მეგრ. ღეჯი.

11. არიულზე ადრინდელი სომხ. ყრპ=იაფეტ.: ქართ. ღრმ=თბ. კაენ. ღრმ=სვან. ღრბ.

1. *կերպ* (კერპ)—კერპი. 1. ქართ. ღმერთი. 2. სვან. ღერბეთ. 3. ჭან. ღორომოთი, მეგრ. ღორონთი.

2. *կերպ* (კერპ)—სახე,—გამოსახულება. ფორმა—ში ღერბეთ—ეთ, მეცნ. აზრით, მდედრობითი დაბოლოებაა. **იუსტ. აბულაძე.**

(შემდეგი იქნება)

*) მმიმის ადგილას იგულისხმეთ არაბული აინი, ან ზღრზის მიერი ბგერა.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო ოდაქტორო! პატივცემულ „დროების“ მე-48 ნომერში დაბეჭდილია ახალი ამბავი სათაურით „უყურადღებობა“, თითქოს ალავერდის ქუჩაზე ქუთაისის ბანკის მამულიდან იპარავდნენ კარ-ფანჯრებს და ყურის მგდებელი კი არავინ იყოს. შეცდომაში შეუყვანიხართ ქრონიკერს: ის მამული, რომლისთვისაც კარ-ფანჯარა ჩამოულიათ და დაუფარავთ ვუნდერისეული მამულია, ავლაბარში, ალავერდის ქუჩაზე; იგი ბანკს დარჩა ამ 3 წლის წინად და მეორე წელიწადია ამ უკანასკნელმა მიჰყიდა ვინმე მარტინოვს, რომელსაც უვლის ბ-ნი ყორდანია და ამანვე აღმოაჩინა მომპარავები. მაშასადამე, თქვენი გაზეთის ქრონიკაში მოხსენებული „უყურადღებობა“ ბანკს არ ეკუთვნის. **ტებ. გიგო თოიძე.**

ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო იმათ, რომელთაც მიიულებში დასარიგებლად შემოსწირეს წიგნები. სია: ქ-ნი ეკატირინე რევაზის ასული გაბაშვილისა— „მოგზაური“ 16, ანასტასია მიხეილის ასული წერეთლისა—ნახატი ფურცლები „ჯეჯილის“ იუბილესა 40 ც., ნინო კონსტანტინეს ასული კარგარეთელი— „კრებული“ 7 ც., „მოგზაური“ 9 ც., „ჯეჯილი“ 7 ც., თამარ ზაქარიას ასული თარხნიშვილისა—„დედა-ენა“ 6 ც., „მატიცა“ 10 ც., ნინო ალექსანდრეს ასული შირსკისა—„დედა-ენა“ 3 ც., ფანქარი 1 დუჟინი; ბ-ნი დავით ადამიძე-დოდოშვილი—„ნაკადული“ 72 ც., „მოამბე“ 11 ც., „კრებული“ 1 ც., „ცისკარი“ 1 ც., „დედა-ენა“ 1 ც., „მამა დავითის ცხოვრება“ 1 ც., „დროება“ 1 ც., „გუშაგი“ და „ქორწინება“ 1 ც., „ქართული გაზეთი“ 6 ც., ტუსაღი გიორგი კვერნაძე—სხვა და სხვა წიგნი 15 ც., ვასო აბდულაძე—სამი მანეთი ფულად, რომლითაც ვიყიდე: „დედა-ენა“ 12 ც., რვეული 10, ფანქარი 2 დუჟინი, კალმის ტარი 1 დუჟინი, კალამი 1 კოლოფი. „დედა-ენების“ გარდა დღემდის მაქვს მიღებული 642 წიგნი. **ან. კაპანაძისა.**

---

გთხოვთ გარდასცეთ შემდეგი წიგნაკები მეტეხის ციხის ტუსაღებს: 1. „ოჯახ. და საკუთარ. წარმოშობა განვითარება“, 2. „საყოველთაო გაფიცვის მეორე დღეს“, 3. „როგორ უნდა გადასწყდეს მიწით სარგებლობის საქმე“, 4. „როგორ იბრძოდნენ გლეხები სიცილიაში“, 5. „მიწით სარგებლობის უფლება“, 6. „დედა-კაცი“, 7. „პასუხი პროტესტანტებს“, 8. „დედაკაცის ხვედრი“, 9. „ვილჰელმ ტელი“, 10. „მწირი“, 11. ლექსები პახვალა ლიფონავასი“, 12. „გლეხთა საკითხი საფრანგეთში, 13. „ლექსები გაბრუაშვილისა“, 14. „სოციალ-დემოკრატები“. **სანდრო გძელიშვილი.**

გთხოვთ შეძლება მოგვცეთ, თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ ანასტასია წერეთლისას, ნინო ნაკაშიძისას, „ხნვის“, „თეატრის“ და „დროების“ რედაქციებს, რომელთაც ს. ახალქალაქის სამკითხველოს დაკლებული ფასად დაუთმეს საუკეთესო ჟურნალები: „ჯეჯილი“, „ნაკადული“, „თეატრი“, „ხნვა“ და „დროება“. მადლობას უძღვნი აგრეთვე ელენე ბაღე... თარხნიშვილს, რომელმაც ... სამკითხველოს შემოსწირა 2 მან. ფული და ბ-ნ ვ. ... რომელიც წვრილ-წვრილად გვიბედვინებს ჟურნალ „მოსავლის“ წლიურ ფასს. **გამგე სამკითხველოსი თამარ თარხნიშვილისა.**

---

ნება მიბოძეთ გაზეთ „დროება“-ის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო ვერის საკვირაო სკოლის მოწაფეებს, რომელთაც კეთილი ინებეს და ერთი წლით „ჯეჯილი“ გამოუწერეს გურჯმის სამკითხველოს ქ-ნ ანასტასია თუმანიშვილწერეთლის ოცი წლის მოღვაწეობის პატივსაცემად („დროება“ № 46). იმედია, აღმოჩნდებიან მიმბაძველნი და ამ კეთილმოქმედი საქმის განხორციელებაში ხელს შეგვიწყობენ.

სამკითხველოს ადრესი: Гурдземская публич. биб. читальня. м. Наогалеви Кут. губ.

სამკითხველოს გამგე **კნ. ნათა დადიანდგებუაძისა.**


# განცხადებანი

**ექიმი** ე. ხ. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., შებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—60)

**კვიწმარაშვილის და ამხ. თესლეულობის მაღაზიაში** მიღებულია სხვა და სხვა თესლეულობა ახალ ბოსტნეულის, ყვავილების და ბალახების: იონჯის, სამყურის და კოინდრისა. აქვე იყიდება საგანგებოდ დამზადებული ძმათა პასხალიდების თეთრი აბრეშუმის თესლი. მსურველთ კატალოგი უფასოდ ეგზავნებათ. (25—კვ.—3)

**დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია**

7 მ. 25 კ. ორ კოსტიუმს ვგზავნით ფასდადებით. ჩაწყობა და გაგზავნა ჩემი ხარჯით 4¼ არშ. მამაკაცის სრულ კოსტიუმისთვის, ინგლისის შალის ტრიკო ორ არშინიან განისა, ახალი, მუქი, ... ხადა ან ნახატიანი და 8 არშ. „ნოველტი“ ქალის კოსტიუმისთვის მუდის-უჯრედებიანი ან ზაზებიანი.

ვინც ორ წყვილს შემოგვიკვეთავს, იმას უფასოდ ვაძლევთ სარჩულ როგორც კაცის, ისე ქალის კოსტიუმისთვის. სამიმო არაფერია; თუ არ მოგეწონებათ, ფულს სრულად უკანვე მიიღებთ. ფასდადებით გაგზავნისთვის მანეთზე 2 კაპ. ხოლო ციმბირში განსხვავება ზედმეტი 2 კოსტიუმში 85 კაპ., 4-ში მან. 25 კაპ. ადრესი: Фирма М. А. Бабушкина. Лодзь 1-ое отд. დ. მიწერ-მოწერა რუსულად. (Мецль и К. N 11208). (3—6.—2)

**იყიდება** იაფად მიწის ნაჭერი 292 ოთხკ. საჟ. (ფასადი 16 საჟენი) მუშტაიდის ქუჩაზე, საბალოსნო სკოლის პირდაპირ. ნაჭერი შეიძლება ორად გაიყოს. აქვე ჩერდება ტრამვაი. იკითხეთ: გრიბოედოვის ქ., 30, მარჯვნივ შუაზარა. (5—1043—2)

# სანერგე ამერიკულ ვაზისა

„კლდე-უგურული“ ქუთაისში.

● უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში ●

1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები.

მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.

აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—6.—31)

# სამანუფაქტურო მაღაზია ა. ი. ამირალოვისა

თამამშევის ქარვასლაში №№ 19, 20, 22 და 23.

აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ არა ჩვეულებრივი სიიაფეა საქონლისა:

სიურა—არშინი 35 კაპ.
ატლასი—10/16 ვერ. 25 კ. არ.
ატლასი—11/16 ვერ. 45 კ. არ.
ფლორენტინი—35 კაპ. არშ.
რალამე—48 კაპ. არშინი.
ბურსო—70 კაპ. არშინი.

სატინა მერვეღიე 1 მან. არშ.
სატინა მერ სანუი—70 კ. არშ.
ფაია ფრანგული სახიან. 1 მ.
მანჩესტერი—40 კაპ. არშ.
„ სახიანი—50 კაპ. არშ.
ხავერდი—რომელიც წინად 1 მან. 60 კაპ. ფასობდა, ეხლა 70 კაპ. არშ.

შალის საქონელი მოსკოვის ფაბრიკებისა 1½ არშინის სიგანისა 30% დაკლებით იყიდება. ვუალი მატყლისა სახიანი 60 კაპ. არშ. საზღვარ-გარეთისა საზაფხულო, რომელიც წინად 1 მ. 65 კ. იყიდებოდა არშინი, ეხლა 60 კაპ.

ავეჯეულობის კლეში: ხარისხი В. 2 მ. და 2 მ. 20 კ. ხარისხი Б. 2 მ. 75 კ. არშ. ხარისხი А. 3 მ. ...

ავეჯეულობის ატლასი: ხარისხი II. 3 მ. 30 კ. ხარისხი I. „ 2 მ. 25 კ.

ავეჯეულობის „გაზრომა“ 10 კაპ. და 18 კაპ. არშ.

ბაზრომა ბადით—1 მან. 20 კ. არშ.

ბარიშვის კლეში 10½ ვერ. 1 მ. 20 კ. 14 ვერ. 1 მ. 70 კ.

ფასები შეუდარებლად. (5—178—1)


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. ანგაძე.